ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 181/1

ქ.ლაგოდეხი 5 ივლისი 2012 წელი

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") მისი გამგებლის დიმიტრი ლოლაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი" მისი გენერალური დირექტორის გიორგი მშვილდაძის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია კომაცუს ძრავის ზეთი, ჰიდრავლიკის ზეთი,ძრავის ზეთის და ჰაერის ფილტრი.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება ლარებში და შეადგენს 800/ რვაას/ ლარს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველი"-ს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა

1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
3. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
4. შესაბამისი თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 15 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას).

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) თუ „მიმწოდებელი" წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ ასრულებს თავის ვალდებულებას, მიმწოდებლის ხარჯზე ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს.

2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით1გათვალისწინებული პირობები;

ბ)ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

გ) რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

დ) შემსრულებლის მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში /სასაქონლო ზედნადებში/ მითითებული თანხა გადაირიცხოს მიმწოდებლის ანგარიშზე.

3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

გ) მიწოდებული მომსახურების ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

დ) წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2012 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ფასების ცვლილებების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივუფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებების.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: ომი, ნებისმიერი ხასიათის საბრძოლო ან სამხედრო მოქმედებები, დივერსიები, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ხანძარი და სხვა გარემოებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაჭრან მოლაპარაკებისა და შეთანხმებით გზით.

2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

4. წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება დამრღვევი მხარისადმი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

7. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

8. ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი საიდენტიფიკაციო კოდი: 233144987 ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. №23 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგ.№ GE37LBO120118067888000	შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“ მის: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.N5 საიდ.კოდი: 202177205, ტელ: 2244444 ს.ს. „თიბისი ბანკის“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა სალარე - GE80TB0600000024467853
დიმიტრი ლოლაძე	გიორგი [illegible]ძე
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი	გენერალური დირექტორი